აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-12

23 03 2018წ.

გორი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ს" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (22.03.2018. N322352) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია დანართის შესაბამისად;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციისა და დამტკიცების პროცედურის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 ივნისის N09-89 დადგენილება;

3. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს დადგენილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ინსტრუქცია

თავი I.
საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

მუხლი 1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

1. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) დაგეგმვა ეფუძნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს;
2. პროგრამის დაგეგმვა ხორციელდება შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალის მიერ მოწვეული სპეციალისტების, მომიჯნავე დარგის/ქვედარგის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების (არსებობის შემთხვევაში), დარგობრივი ინსტიტუტების წარმომადგენლების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით;
3. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე დაგეგმილი პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება (სწავლის მიზნები და შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია) უნდა დაეფუძნოს განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერს და/ან საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე პროფესიული ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული ადამიანური (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) და მატერიალური (აუდიტორიები, ლაბორატორიები, შესაბამისი ინვენტარი, საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები, ბიბლიოთეკის წიგნადი და არაწიგნადი ფონდები და სხვ.) რესურსები, აგრეთვე საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

1. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში – პროგრამა) უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) პროგრამის სახელწოდება;
ბ) ფაკულტეტი, რომელზეც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა;
გ) სპეციალობა;
დ) უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური;
ე) საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი (აკადემიური, ძირითადი ან დამატებითი);
ვ) სწავლების ენა;
ზ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია (არ მიეთითება დამატებითი პროგრამის შემთხვევაში);
თ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით;

ი) პროგრამის ხელმძღვანელი;
კ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
ლ)საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და საქმიანობის განსაზღვრაზე;
მ) სწავლის შედეგები;
ნ) დასაქმების სფერო;
ო) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები;
პ) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
2. პროგრამას თან უნდა ახლდეს:
ა) სასწავლო გეგმა, სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;
ბ) სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები);
გ) სასწავლო კურსების წინაპირობების მატრიცა;
დ) პროგრამის სწავლის შედეგების რუქა;
ე) ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ;
ვ) სწავლის საფასური;
ზ) პროგრამის შედგენაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია;
თ) პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობა.
პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში მას თან უნდა დაერთოს პროგრამის დამტკიცების აქტი.

მუხლი 2.2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1. დასაშვებია, რომ პროგრამის სახელწოდება არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
2. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „შუალედური კვალიფიკაცია", მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.
3. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „ბაკალავრი", შესაბამისი მიმართულების და/ან დარგის/სპეციალობის მითითებით.
4. მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს – „მაგისტრი", შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის და/ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.
5. მასწავლებლის მომზადების მინიმუმ ერთწლიანი, 60-კრედიტიანი პროგრამა შეიძლება განხორციელდეს როგორც ბაკალავრიატის პროგრამის ფარგლებში, ასევე ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისგან დამოუკიდებლადაც.

მუხლი 2.3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

1. ბაკალავრიატის სწავლების საფეხური მოიცავს 240 ECTS კრედიტს.
2. საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტს შეუძლია ძირითადი სპეციალობისა (არანაკლებ 120 კრედიტი) და დამატებითი სპეციალობის (სასურველია 60 კრედიტი) კომბინირება შემდეგი სახით:

ა) მირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
ბ) მირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტები;
გ) მირითადი და ორი დამატებითი სპეციალობა.

3. საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი სპეციალობის კომბინირება, რომლის მირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში.
4. დამატებით სპეციალობაში სტუდენტს არ ენიჭება აკადემიური ხარისხი;
5. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი რეგულირებადი პროფესიისათვის საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75% ეთმობა რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას;
6. საბაკალავრო პროგრამაზე შესაძლებელია, აგრეთვე, სტუდენტისათვის სასწავლო კომპონენტების დამატებითი კონცენტრაციების შეთავაზება, რაც აისახება დიპლომის დანართში;
7. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია, სამაგისტრო პროგრამა შედგებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგანაც. სამაგისტრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება 120 ECTS კრედიტის ოდენობით. მათ შორის სამაგისტრო ნაშრომის წილი უნდა იყოს 30 ECTS კრედიტი.

მუხლი 2.4. სწავლების ენა

1. პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე.
2. პროგრამაში უნდა მიეთითოს რომელ ენაზე ხორციელდება პროგრამა.
3. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
4. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და/ან გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება.
5. საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე შეთავაზების შემთხვევაში პროგრამა უნდა
1. შედგეს ორ ენაზე - ქართულ და შესაბამის უცხოურ ენაზე.

მუხლი 2.5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

1. დაშვების წინაპირობის განსაზღვრის მიზანია პირის წინასწარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.
2. დაწესებულების გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, არსებობდეს ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა მიღების დამატებითი წინაპირობები (მაგალითად, უცხო ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე, სამაგისტრო პროგრამისათვის, თუ რომელ სფეროში/დარგში უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი და სხვ.).
3. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, საერთო სამაგისტრო გამოცდის გარდა, წარმოადგენს ფაკულტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები.

მუხლი 2.6. პროგრამის მიზნები:

1. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების, ფაკულტეტის ან მისი სტრუქტურული ერთეულის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას;
2. პროგრამის მიზნები უნდა იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი, საჯარო და ხელმისაწვდომი;
3. პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა; ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში; ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს;
4. პროგრამაში აისახება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

მუხლი 2.7. პროგრამის სწავლის შედეგები

1. სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას; არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური;
2. სწავლის შედეგები უნდა ასახავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს (ცოდნა და გაცნობიერება), რისი გაკეთება უნდა შეეძლოს (ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დასკვნის, კომუნიკაციის და სწავლის უნარები) და რა ღირებულებები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ.
3. სწავლის შედეგებში უნდა აისახოს ზოგადი (ტრანსფერული) და დარგობრივი კომპეტენციები, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერისა და კონკრეტული დარგობრივი მახასიათებლის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.
4. სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
5. პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.
6. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით;
7. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა;
5. სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები;

6. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება;
7. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს;
8. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იღებს მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის;
9. სასურველია, სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდებოდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ;
10. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, თუ რამდენად მიაღწიეს პროგრამის სწავლის შედეგებს.
11. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

მუხლი 2.8. კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები

1. პროგრამაში უნდა მიეთითოს პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით, მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, დასაქმების სფეროები;
2. პროგრამაში უნდა მიეთითოს პროგრამის კურსდამთავრებულთა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები;

მუხლი 2.9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

1. პროგრამაში უნდა მიეთითოს სწავლების/სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, პროგრამის და შესაბამისი სასწავლო კურსების შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;
2. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა;
3. უცხოელი სტუდენტების არსებობის შემთხვევაში, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი ითვალისწინებს მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების ჩამოყალიბებისას.

მუხლი 2.10. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა და სასწავლო კურსების სილაბუსები:

1. პროგრამის სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ყველა კომპონენტს, რომელშიც ხდება კრედიტების მინიჭება.
2. კომპონენტის მითითებისას უნდა აღინიშნოს: სახელწოდება, მოცულობა კრედიტებით, სტუდენტის დატვირთვის სახეები.
3. სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობის ჯამი უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების საერთო რაოდენობას.

4. სასწავლო კურსის სილაბუსში მიეთითება: სასწავლო კურსის სახელწოდება, ლექტორი/ლექტორები, სასწავლო კურსის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის სახეების შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი ლიტერატურა, დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა.
5. სილაბუსში უნდა მიეთითოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა გამომუშავებასაც მიზნად ისახავს შესაბამისი კომპონენტი.

მუხლი 2.11. საგანმანათლებლო პროგრამის წინაპირობების მატრიცა და სწავლის შედეგების რუკა:

1. სასწავლო გეგმას თან უნდა დაერთოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების წინაპირობების მატრიცა და სწავლის შედეგების რუკა, რომელიც მოიცავს პროგრამის ყველა კომპონენტს და მათ ურთიერთმიმართებას პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებთან.

მუხლი 2.12. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

1. საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტის ცოდნის შეფასების თაობაზე სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მოთხოვნებს.
2. შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
3. შეფასების თითოეულ ფორმაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 2.13. ადამიანური რესურსი

1. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ადამიანური რესურსით, რომელშიც შედის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, მასწავლებელი ან მოწვეული პერსონალი.
2. პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის ჩამონათვალი;
3. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (მონოგრაფია, სახელმძღვანელო, რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი და სხვა) და/ან პრაქტიკული პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას;
4. მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით;

5. უცხოენოვანი პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დამატებით მოეთხოვება უცხოური ენის ცოდნის დადასტურება.

მუხლი 2.14. მატერიალური რესურსი

1. საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მატერიალური რესურსით, რომელშიც შედის უნივერსიტეტის აუდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, შესაბამისი ინვენტარი და სხვ.
2. პროგრამას უნდა დაერთოს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;
3. თუ პროგრამის სრულყოფილი წარმართვისათვის აუცილებელია ისეთი აღჭურვილობის გამოყენება, რომელიც უნივერსიტეტს არ გააჩნია, უნდა მიეთითოს, სად (რომელ დაწესებულებაში) შესრულდება პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სწავლების შესაბამისი ნაწილი. პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა წარმოადგინოს ამ დაწესებულების თანხმობის წერილი. თანხმობის წერილი წარმოდგენილ უნდა იქნეს ასევე იმ პარტნიორი ორგანიზაციებიდან, სადაც დაგეგმილია პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის ჩატარება.

მუხლი 2.15. უცხოენოვანი პროგრამები

1. უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში პროგრამას უნდა დაერთოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა.

მუხლი 2.16. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

1. პროგრამას უნდა დაერთოს ინფორმაცია შესაბამისი პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის თაობაზე.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება

1. მუდმივად ცვალებად გარემოსთან პროგრამის შესაბამისობის უზრუნველყოფა და პროგრამის განვითარება ეფუძნება მისი განხორციელების შეფასების შედეგების ანალიზს,
2. პროგრამის განხორციელების შეფასება ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს, სტუდენტების, დამსაქმებლების და პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ და საერთაშორისო პრაქტიკას.
3. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას (სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი და/ან უცხოელი კოლეგების მიერ) პროგრამის გაუმჯობესების მიზნით;
4. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე კოლეგების (იმავე პროგრამის, სასწავლო უნივერსიტეტის სხვა

პროგრამის, ან სხვა უსდ-დან მოწვეული პირის მიერ) დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;

5. დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები კითხვარების მეშვეობით აფასებენ აღნიშნულ კურსს;
6. პერიოდულად ხდება პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა;
7. მონიტორინგისა და პროგრამის შედეგების კომპლექსური მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში – პროგრამის მოდიფიცირება და გაუმჯობესება.

თავი II.

საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების პროცედურები

მუხლი 4. პროგრამის შემუშავების პროცედურა

1. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალის მიერ მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, დარგობრივი ინსტიტუტების წარმომადგენლების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით, რაც დასტურდება შესაბამისი კითხვარებით, ოქმებით, მიმოწერით ან სხვა დოკუმენტებით;
2. პროგრამის საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილება პროგრამის შემდგომ ეტაპზე წარდგენის შესახებ ფორმდება ოქმის სახით. შემუშავებული პროგრამის შეჯერებული ვარიანტი განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

მუხლი 5. პროგრამის დამტკიცება

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან და, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, მათი აღმოფხვრის მიზნით უბრუნებს პროგრამის საინიციატივო ჯგუფს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წერილობით წარმოდგენილი დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა განსახილველად გადაეცემა ფაკულტეტის საბჭოს.
2. ფაკულტეტის საბჭო, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში „საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ" დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით შეარჩევს პროგრამის ხელმძღვანელის კანდიდატურას და პროგრამას (მისი ხელმძღვანელის კანდიდატურის მითითებით) დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
3. საგანმანათლებლო პროგრამას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის გათვალისწინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

მუხლი 6. პროგრამაში ცვლილების შეტანა

1. პროგრამაში ცვლილების შეტანა ხორციელდება პროგრამის დამტკიცებისათვის დადგენილი პროცედურის შესაბამისად.
2. განსაკუთრებულ შემთხვევებში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი დაინტერესებული მხარე: სტუდენტთა ჯგუფი, აკადემიური პერსონალი, პროგრამული მიმართულება/კათედრა, დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დამსაქმებელი და სხვ.

მუხლი 7. პროგრამის გაუქმება

1. პროგრამის გაუქმების თაობაზე საკითხის ინიცირებას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო;
2. ფაკულტეტის საბჭოს სათანადო გადაწყვეტილებას, პროგრამის სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, უნდა დაერთოს სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობას.
3. გადაწყვეტილებას პროგრამის გაუქმების თაობაზე ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.